ქალთა პირადი უსაფრთხოების შეფასება

„ქალთა მიმართ ძალადობის რისკების ინდიკატორის“ კვლევის შედეგების მიხედვით [1]

მოკლე შეჯამება

ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ, 2024 წლის მარტი-მაისის პერიოდში, „ქალთა მიმართ ძალადობის რისკების ინდიკატორის“ შესწავლის მიზნით, განხორციელებული კვლევის ფარგლებში, **10 სამიზნე მუნიციპალიტეტში - ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, წყალტუბო, ხონი, ქუთაისი, ბაღდათი, ჩოხატაური სამტრედია, ქობულეთი, რაოდენობრივი კვლევის მეთოდით გამოიკითხა 1027 რესპონდენტი (ქალი).**



აღნიშნული კვლევის ერთ-ერთ ფოკუსს ქალთა პირადი უსაფრთხოების ხარისხის შეფასება და იმ რისკების იდენტიფიცირება წარმოადგენდა, რომელიც მათ საფრთხისა და დაუცველობის განცდას უჩენს.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემების თანახმად, გამოკითხული ქალებისთვის პირად უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ძირითადი საფრთხეები, უმეტესწილად უკავშირდება **ეკონომიკურ და ფსიქო-სოციალურ ფაქტორებს, მაგ: უმუშევრობას, სიღარიბეს, მიგრაციის მზარდ სურვილს; გამოკვეთილია ოჯახის წევრთა ნივთიერებაზე დამოკიდებულების პრობლემა; გაუარესებული კრიმინოგენული სიტუაცია, საზოგადოებაში შეუწყნარებლობისა და დისკიმინაციის მაღალი ხარისხი; და სამართალდამცავი ორგანოების და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ უნდობლობა**.

აღნიშნული საფრთხეები ცხადყოფს ხელისუფლების მხრიდან ქალთა პირადი უსაფრთხოების გასაძლიერებლად და უზრუნველსაყოფად ყოვლისმომცველი და მრავალმხრივი პოლიტიკის გატარების აუცილებლობას.

მიგნებები

ქალების პირადი უსაფრთხოების და დაცულობის განცდის ხარისხი

2024 წელს, უსაფრთხოების ხარისხის ხუთქულიანი სკალით შეფასებისას, რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად დაფიქსირებული შეფასება იყო „3“ქულა (54%), ე.ი. ნეიტრალური პუნქტი (იხ. დიაგრამა #1). უსაფრთხოების შედარებით მაღალი დონე (4 ქულა) დაასახელა ქალების მხოლოდ დაახლ. 22%-მა, ხოლო „5“ ქულა - 7%-მა, რაც 2023 წელს ჩატარებული მსგავსი კვლევის მონაცემებთან შედარებით, აჩვენებს უსაფრთხოების განცდის დაქვეითების **ტენდენციას** (იხ. დიაგრამა #1)



[1] https://sosfsokhumi.ge/map

ქალებში საფრთხის განმაპირობებელი ფაქტორები

- ცალსახად გამოკვეთილი საფრთხე დაკავშირებულია დასაქმების პრობლემასთან (უმუშევრობას, 5-ქულიან სკალაზე უმეტესობა 3.8 ქულით აფასებს. თითქმის ანალოგიური მაჩვენებელი დაფიქსირდა 2023 წელს - „4“ ქულა);
- ქალებისთვის საფრთხე დაკავშირებულია ეკონომიკურ (მაგ: სიღარიბე, უმუშევრობა, სამუშაოს დაკარგვის საფრთხე, მიგრაციის მზარდი სურვილი) და ფსიქო-სოციალურ (ოჯახის წევრის ალკოჰოლზე დამოკიდებულება, ოჯახში ძალადობა) ფაქტორებთან. 5-ქულიან სკალაზე, მოცემული ფაქტორები საშუალოზე მაღალ საფრთხეზე მიუთითებს (მერყეობს 3.01 – 3.3-ის ფარგლებში);
- 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს გაზრდილია მიგრაციის სურვილის მაჩვენებელი, მიუხედავად იმისა, რომ 2023-ში საშუალოს აღემატებოდა კერძოდ, მოდა (Mode - ე.ი მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელია ყველაზე ხშირად განმეორებადი მონაცემი), 2023 წელს ყველაზე ხშირად მინიჭებული ქულა, 5-ქულიან სკალაზე იყო საშუალო (3), ხოლო 2024 წელს - მაღალი (4.02);
- 2023 წელთან შედარებით გაზრდილია გაუარესებულ კრიმინოგენულ სიტუაციასთან და საზოგადოებაში შეუწყნარებლობასთან და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული მაჩვენებლები. კერძოდ, თუ 2023 წელს აღნიშნული მიმართულებით შეფასება 5-ქულიან სკალზე, საშუალოზე დაბალ საფრთხეზე მიუთითებდა (2.9), 2024-ში იგი გადაცდა საშუალო ნიშნულს (3.1);
- სამართალდამცავი ორგანოების და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის ხარისხი ასევე საშუალო ნიშნულზეა, ე.ი. ნეიტრალურ პუნქტზე (3.02; 3.03)

ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს მთავარ საფრთხეს თქვენი პირადი უსაფრთხოებისთვის?	საშუალო მაჩვენებელი	
	(2023)	(2024)
უმუშევრობა	4.02	3.8
სიღარიბე	3.3	3.25
ოჯახში ძალადობა	3.2	3.29
ოჯახის წევრის ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დამოკიდებულება	2.9	3.3
ოჯახის წევრის ალკოჰოლზე დამოკიდებულება	3.1	3.4
საზოგადოების მხრიდან შეუწყნარებლობა/დისკრიმინაცია	2.9	3.19
გაზრდილი კრიმინოგენული სიტუაცია	2.9	3.19
სამუშაოს დაკარგვის საფრთხე	3.07	3.13
ცუდი საცხოვრებელი პირობები	3.01	3.1
სწავლის შეწყვეტის საფრთხე (სწავლის მაღალი გადასახადი, ბინის ქირის მაღალი საფასური და ა.შ.)	2.99	3.12
მიგრაციის მზარდი სურვილი (იძულებული ვიქნები მიგრაციაში წავიდე)	3.2	3.36
სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობის ნაკლებობა	-	3.03
მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის ნაკლებობა	-	3.02

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი

ეკონომიკური უსაფრთხოება

- **სამუშაო ადგილების შექმნა:** ადგილობრივი დასაქმების პროგრამების ხელშეწყობა და ქალთა ხელმისაწვდომობის გაზრდა ეკონომიკურ პროგრამებზე;
- **კერძო სექტორთან თანამშრომლობა:** კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება ქალთა დასაქმებისთვის მეტი შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.
- **ფინანსურ საკითხებზე ქალთა ცნობიერების გაზრდა:** ქალებისთვის ფინანსური მენეჯმენტისა და მიკროფინანსების ხელმისაწვდომობის შესახებ ტრენინგების შეთავაზება.

ქალთა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა

- საზოგადოებაში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში ნივთიერებაზე დამოკიდებულების მავნებლობის შესახებ საინფორმაციო კამპანიების აქტიური ჩატარება;
- **ოჯახში ძალადობის პრევენცია:** რეფერირების მექანიზმის სუბიექტებთან მუშაობის გაძლიერება ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის იდენტიფიკაციისა და ძალადობაზე რეაგირების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად;
- **ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები:** მეტი ფინანსური რესურსის ჩადება ფსიქიკური ჯანმრთელობის და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მომსახურებების გაძლიერებაში და აღნიშნულ სერვისებზე ქალთა ხელმისაწვდომობის გაზრდა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების გაუმჯობესება და დანაშაულის შემცირება

- **თემსა და პოლიციას შორის თანამშრომლობა:** პოლიციასა და თემს შორის რეგულარული შეხვედრების პრაქტიკის დანერგვა და დანაშაულის პრევენციისთვის ერთობლივი სტრატეგიების შემუშავება;
- **უსაფრთხო სამეზობლო ინიციატივები:** მაღალი რისკის ადგილებში სათვალთვალო კამერების და ქუჩის განათების ინსტალაცია;
- ახალგაზრდების რისკ-ჯგუფისთვის მეტი საგანმანათლებლო და მენტორული პროგრამების შეთავაზება.

სოციალური შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა

- **ცნობიერების ამაღლების კამპანიები:** აქტიური საინფორმაციო კამპანიების წარმოება სოციალური შეუწყნარებლობის მავნე ზემოქმედების შესახებ; საზოგადოების წევრებს შორის დიალოგისა და ინკლუზიურობის წახალისება;
- **სათემო ლიდერების ჩართულობა:** ყველა ასაკის სათემო ლიდერთა მეტი ჩართულობის მხარდაჭერა და წახალისება საზოგადოებაში სოციალური და პოლიტიკური დიალოგის გასაძლიერებლად;
- **ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის ხელშეწყობა**: ინკლუზიური, ჩართულობითი პოლიტიკის წახალისება და გაძლიერება, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის მონაწილეობის თანაბარ შესაძლებლობებს.